

ქართული უნივერსიტეტის VIII პირად-გუნდური ოლიმპიადა
წმიდა ანდრია პირველწოდებულის თასის მოსაპოვებლად

ისტორია - VIII კლასი

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი _____
სკოლა, კლასი _____
თანაგუნდელის გვარი, სახელი _____
მასწავლებლის გვარი, სახელი _____

I დავალება - ოთხი შესაძლო ვარიანტიდან აირჩიეთ ერთი სწორი პასუხი

ინსტრუქცია:

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.
უნდა შემოხაზოთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. ვისი მოწაფე იყო გენერალი პეტრე ბაგრატიონი?

ა. ბარკლაი-დე-ტოლის ბ. სუვოროვის გ. კუტუზოვის დ. ტორმასოვის

(1) 2. რომელ ბრძოლაში დაიჭრა სასიკვდილოდ გენერალი პეტრე ბაგრატიონი?

ა. პოლტავის ბ. გალიციის გ. ნარვის დ. ბოროდინოს

(1) 3. ვინ შედიოდა სამთა კავშირის შემადგენლობაში?

ა. გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იაპონია ბ. გერმანია, საფრანგეთი, იტალია
გ. გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია დ. გერმანია, იტალია, იაპონია

(1) 4. ვინ შედიოდა ანტანტის შემადგენლობაში?

ა. საფრანგეთი, იტალია, რუსეთი ბ. გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი
გ. საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი დ. საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია

(1) 5. როდის აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია?

ა. 1917 წ. ბ. 1918 წ. გ. 1919 წ. დ. 1920 წ.

(1) 6. ვინ გახდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ?

ა. ალექსანდრე ბ. ლეონიდე გ. კირიონი დ. ანტონი

(1) 7. რომელი სახელმწიფო გამოეყო ინდოეთს 1947 წელს?

ა. ბანგლადეში ბ. ნეპალი გ. პაკისტანი დ. ავღანეთი

(1) 8. რომელ ბრძოლაში დაიღუპა ცხრა ძმა ხერხეულიძე?

ა. მარაბდის ბ. მარტყოვის გ. ბაზალეთის დ. კრწანისის

(1) 9. ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელის მასწავლებელი?

ა. პლატონი ბ. არქიმედე გ. არისტოტელე დ. ევკლიდე

(1) 10. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ვინ ითვლება ქართლის პირველ მეფედ?

ა. ფარნავაზი ბ. აზო გ. ქართლოსი დ. კახოსი

(1) 11. ვინ იყო საქართველოს მეფე ბიზანტიის იმპერიის დაცემის დროს (1453 წ.)?

ა. კონსტანტინე II ბ. გიორგი VIII გ. ალექსანდრე I დიდი დ. ბაგრატ V

(1) 12. ვისი მეფობისას მოჭრილ ფულს უწოდეს „გიორგაული თეთრი“?

ა. გიორგი III-ის ბ. გიორგი V-ის გ. გიორგი XII-ის დ. გიორგი I-ის

(1) 13. რომელი ისტორიკოსის თხზულებაშია დაცული ცნობები ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაზე?

ა. ჯუანშერის ბ. სტრაბონის გ. სუმბატ დავითის ძის დ. ჟამთააღმწერლის

(1) 14. ვინ იყო თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი?

ა. ივანე ჯავახიშვილი ბ. დავით ჩუბინაშვილი გ. ნიკო მარი დ. პეტრე მელიქიშვილი

(1) 15. ჩამოთვლილთაგან, რომელი არ იყო განმანათლებელი?

ა. მონტესკიე ბ. კოლბერი გ. რუსო დ. დიდრო

(1) 16. რომელ წელს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი?

ა. 1782 წ. ბ. 1783 წ. გ. 1784 წ. დ. 1785 წ.

(1) 17. რა ერქვა გადასახადების ამკრეფ მონღოლ მოხელეს?

ა. ბასკაკი ბ. დუმნისთავი გ. ნომარქოსი დ. ზუსტად ცნობილი არ არის

(1) 18. როდის გაიყო ქრისტიანული ეკლესია კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებად?

ა. 945 წ. ბ. 970 წ. გ. 1030 წ. დ. 1054 წ.

(1) 19. რომელ წელს დაეცა რომის იმპერია?

ა. 451 წ. ბ. 461 წ. გ. 476 წ. დ. 487 წ.

(1) 20. როდის მიიღეს „ჰელსინკის დეკლარაცია“?

ა. 1973 წ. ბ. 1975 წ. გ. 1978 წ. დ. 1983 წ.

(1) 21. რომელი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჰიმნი?

ა. ილია ჭავჭავაძის „ჩემო კარგო ქვეყანავ“ ბ. კოტე ფოცხვერაშვილის „დიდება“
გ. ხალხური „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ დ. ხალხური „მრავალჟამიერი“

(1) 22. რომელ წელს შეიქმნა „ნატო“?

ა. 1946 წ. ბ. 1947 წ. გ. 1948 წ. დ. 1949 წ.

II დავალება - შესაბამისობის პოვნა

ინსტრუქცია

ქვემოთ მოცემული ცხრილი შეავსეთ პიროვნებებსა და მოვლენებს შორის შესაბამისობების მიხედვით შემდეგი წესით: „X“ ნიშნაკი დასვით სწორი პასუხის ადგილზე, მაგ. თუ მარშალი იტალიის გაერთიანებას დაუკავშირეთ, მაშინ X დასვით „1“-ის და „ვ“-ს გადაკვეთაზე. II დავალება მაქსიმუმ 4 (ოთხი) ქულით ფასდება

(4) 23. იპოვეთ შესაბამისობები მეფეებსა და ბრძოლებს შორის

- | | |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> 1. მარშალი 2. ვილსონი 3. გარიბალდი 4. კენედი | <ol style="list-style-type: none"> ა. „ერთა ლიგის“ შექმნა ბ. ეკონომიკური დახმარების გეგმა გ. „კონტინენტური ბლოკადა“ დ. „კარიბის კრიზისი“ ე. „მარში რომზე“ ვ. იტალიის გაერთიანება |
|---|--|

	ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1						
2						
3						
4						

III დავალება - ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

დააღაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები შესაბამისი თანმიმდევრობით (უძველესიდან უახლესისაკენ). პასუხები ჩაწერეთ მოცემულ უჯრებში. იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. III დავალება 4 ქულით ფასდება.

(4) 24. დააღაგეთ ქრონოლოგიური პრინციპით უძველესიდან უახლესისაკენ მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები

- | | |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> 1. პოტსდამის კონფერენცია 3. თეირანის კონფერენცია | <ol style="list-style-type: none"> 2. სსრკ-ფინეთის ომი 4. იალტის კონფერენცია |
|---|--|

--	--	--	--

IV დავალება - შეცდომების აღმოჩენა და გასწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. იპოვეთ დაშვებული შეცდომები. ტექსტის ბოლოში წარმოდგენილ პასუხების ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომები და მათი შესწორებული ვარიანტები. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა (1 ქულით), ისე მისი შესწორებული ვარიანტი (1 ქულით). ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა. შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება, ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა. IV დავალება მაქსიმუმ 10 ქულით ფასდება.

(10) 25. დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებელი სამეფო ტახტზე 1089 წელს ავიდა. მისი მთავარი მიზანი თურქ-სელჩუკთაგან განთავისუფლება და ქვეყნის გაერთიანება იყო. ამ მიზნის მისაღწევად მეფემ არაერთი ღონისძიება გაატარა. ეკლესიაზე კონტროლის დასამყარებლად მეფემ ათაბაგისა და კათალიკოსის თანამდებობები გააერთიანა. სამართლიანობის დასანერგად მეფემ შექმნა უმაღლესი სასამართლო ინსტანცია „სააჯო კარი“. თვითნებობისთვის მეფემ შეიპყრო იმერეთის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში. 1121 წელს დიდგორის ველზე მეფემ გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა თურქ-სელჩუკებზე. 1123 წელს მეფემ განთავისუფლა თბილისი, რომელიც 400 წელი იყო მაჰმადიანთა ხელში. დავითი წიგნიერი მეფე იყო. მან დაწერა საგალობელი „გალობანი სინანულისანი“. დავითი თავისივე ანდერძის თანახმად სვეტიცხოვლის მონასტერში დაკრძალეს.

	არის	უნდა იყოს
1		
2		
3		
4		
5		